ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 28 ივნისის #171/01-01 ბრძანებით, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად, აკადემიური საბჭოს დადგენილებით (#79/2024) დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

16 სექტემბერი, 2024

დღის წესრიგი

1. საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტაციის შესწავლა) და მეორე (კონკურსანტებთან გასაუბრება) სხდომის შედეგების შეჯამება
2. კონკურსის შედეგების შემაჯამებელი ოქმის თსუ - ის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიორგი გოგსაძე - პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2. რევაზ გაჩეჩილაძე -პროფესორი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. თამარ დოლბაია - პროფესორი, კომისიის მდივანი;
4. ვაჟა ლორთქიფანიძე - პროფესორი

სხდომას არ ესწრებოდა: ნოდარ ელიზბარაშვილი - პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის მდივანმა თ. დოლბაიამ, დამსწრეთ შეახსენა, რომ რექტორის ბრძანებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსი გამოცხადებული იყო ასოცირებული პროფესორის - 4 და ასისტენტ პროფესორის - 1 ადგილზე.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანეს: ია იაშვილმა, ნინო პავლიაშვილმა, ვალერიან მელიქიძემ და გიორგი კვინიკაძემ, ხოლო ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად - ვლადიმერ ჩხაიძემ.

კონკურსის პირველ ეტაპზე, საკონკურსო კომისიამ შეისწავლა კონკურსანტთა საბუთები.

ხუთივე კანდიდატს წესრიგში ჰქონდა საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამებოდა საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსანტების: ვალერიან მელიქიძის, ია იაშვილის, გიორგი კვინიკაძისა და ნინო პავლიაშვილის საქმიანობას, თსუ - ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბერს #118 დადგენილებით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმა #4-ის მიხედვით, ყველა კატეგორიაში მიეცა შეფასება - მაღალი. კონკურსანტ ვლადიმერ ჩხაიძის საქმიანობას

მხოლოდ სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის კატეგორიაში მიეცა შეფასება - საშუალო, სხვა კატეგორიებში - მაღალი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ყველა კონკურსანტი გადაყვანილ იქნა კონკურსის მეორე ეტაპზე, რომელიც მოიცავს კონკურსანტთან გასაუბრებას და ასევე, მის მიერ რომელიმე სალექციო თემის მოხსენებასაც.

კონკურსანტმა ია იაშვილმა საპრეზენტაციოდ წარმოადგინა თემა: „საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გეოგრაფია" , სალექციო კურსის ფარგლებში - „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია". მან საინტერესოდ მიმოიხილა საქართველოს სამრეწველო და სასოფლო -სამეურნეო პოტენციალი. კონკურსანტის ციტირების ინდექსია:7, h - ინდექსი: 1. კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა შეკითხვებს.

კონკურსანტმა ნინო პავლიაშვილმა საპრეზენტაციოდ წარმოადგინა თემა „ ტურიზმი და ტრანსპორტი", სალექციო კურსიდან - „ტურიზმის საქმიანობის ორგანიზება". მან ისაუბრა ტრანსპორტზე, როგორც ტურიზმის განვითარების ერთ - ერთ ხელშემწყობ ფაქტორზე. კონკურსანტის ციტირების ინდექსია: 23, h - ინდექსი: 2. კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების კითხვებს.

კონკურსანტმა გიორგი კვინიკაძემ, სალექციო კურსიდან „გეოეკონომიკის საფუძვლები", წარმოადგინა თემა: „გეოეკონომიკის განვითარების ეტაპები, არსი და დისციპლინათაშორისი კავშირები". მიმოიხილა ქვეყნის გეოეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ეკონომიკური და გეოგრაფიული ინდიკატორები და უპასუხა კომისიის წევრების კითხვებს. კონკურსანტის ციტირების ინდექსია: 25, h - ინდექსი: 2

კონკურსანტმა ვალერიან მელიქიძემ, სალექციო კურსიდან - „განვითარების გეოგრაფია", წარმოადგინა თემა: „საზოგადოების განვითარების მიზეზები და შედეგები და ისაუბრა საზოგადოების განვითარების მოდელებზე და საზოგადოების სისტემური კრიზისის დაძლევის პროცესებზე. კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრთა შეკითხვებს.

კონკურსანტმა ვლადიმერ ჩხაიძემ სასწავლო კურსის - „გეოინფორმაციული სისტემების შესავალის" ფარგლებში, მეტად საინტერესოდ ისაუბრა თემაზე: „ახალი მიდგომები გეოინფორმაციული სისტემების პრაქტიკულ მეცადინეობებში" და უპასუხა კომისიის წევრთა შეკითხვებს.

კონკურსანტების სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა, რომ ყველა კონკურსანტი უკვე იკავებდა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით ასოცირებული, თუ ასისტენტ პროფესორის პოზიციებს, რომლის განმავლობაში ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამივე დონის პროგრამების სასწავლო კურსების შექმნასა და განხორციელებაში. კონკურსანტები არაერთ საბაკალავრო , სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს ხელმძღვანელობდნენ.

კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო აკადემიური საბჭოს # 118/2014 - ით განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

გაიმართა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ოთხივე წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

- ასოცირებული პროფესორის 4 აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ია იაშვილი: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0;

ნინო პავლიაშვილი: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0;

ვალერიან მელიქიძე: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0;

გიორგი კვინიკაძე: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0.

- ასისტენტ პროფესორის 1 აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ვლადიმერ ჩხაიძე: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0.

შედეგების დასაბუთება:

კონკურსანტებმა, როგორც წერილობითი დოკუმენტაციების წარმოდგენის, ისე ინტერვიუს ეტაპი მაღალი კვალიფიციის წარმოჩენით გაიარეს და კარგად შეძლეს საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენა.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლიანია და გამართლებულია შემდეგი გარემოებებით:

კონკურსანტების განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები და პროფესიული მიღწევები სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციებთან.

კონკურსანტების პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა, დაეხმარება „საზოგადოებრივი გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში.

კონკურსანტი ია იაშვილი მიგრაციული პროცესების გამორჩეული მკვლევარია და მაღალია მისი ინტერნაციონალიზაციის ხარისხი. ის აქტიურ მონაწილეობას იღებს „ერაზმუს+ „პროექტის ფარგლებში და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გააცნობს სტუდენტებსა და კოლეგებს მისი კვლევითი თუ პედაგოგიური საქმიანობის მიღწევებს.

კონკურსანტი ნინო პავლიაშვილი საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობდა. დიდია მისი წვლილი ტურიზმის გეოგრაფიის განვითარებაში. ის არის გამორჩეული პედაგოგი, რომელიც დიდ ძალისხმევას ახმარს სტუდენტთა სწავლების საქმეს.

კონკურსანტი გიორგი კვინიკაძე არის გეოეკონომიკის ქვედარგის ერთ - ერთი ცნობილი პოპულარიზატორი და მკვლევარი საქართველოში. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში გამოიკვეთა ინტედისციპლინური მიდგომების გამოყენების ინტერესი და გამოცდილება, მისი საერთაშორისო პუბლიკაციები და თანამშრომლობა უცხოელ მკვლევრებთან სწორედ ამის დასტურია. კონკურსანტს სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის დიდი გამოცდილებაც გააჩნია. აღსანიშნავია კონკურსანტის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც ის კვალიფიციურად წარმოაჩენს ქართულ გეოგრაფიულ სკოლას.

კონკურსანტი ვალერიან მელიქიძე ფულბრაიტის სტიპენდიანტია. მას უცხოეთში კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. დიდია მისი წვლილი ახალგაზრდა მკვლევრების აღზრდის საქმეში.

კონკურსანტ ვლადიმერ ჩხაიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გეოინფორმაციული სისტემების (გის) სწავლების საქმეში. მისი ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელო „შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში", სრულად ასახავს ამ სფეროს სპეციფიკას და ეხმარება სტუდენტს ცოდნის შეძენაში.

კონკურსანტთა აღნიშნული პრიორიტეტები მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის დონეზე საზოგადოებრივი გეოგრაფიის მნიშვნელობის გაზრდისა და პროფესიათაშორისი თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის წევრებმა ერთხმად მიიჩნიეს, რომ კონკურსანტთა კარიერულ წინსვლას დიდი პერსპექტივა გააჩნია, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებისთვის, ასევე ფაკულტეტისა და თსუ-სთვის.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1.

ყველა კონკურსანტის მიერ გაწეული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ - ის აკადემიური საბჭოს #118/2014 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს.

2.

კონკურსანტი ია იაშვილი ერთხმად გამოვლინდა გამარჯვებულად საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ;

კონკურსანტი ნინო პავლიაშვილი ერთხმად გამოვლინდა გამარჯვებულად საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;

კონკურსანტი ვალერიან მელიქიძე ერთხმად გამოვლინდა გამარჯვებულად საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;

კონკურსანტი გიორგი კვინიკაძე ერთხმად გამოვლინდა გამარჯვებულად საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;

კონკურსანტი ვლადიმერ ჩხაიძე არჩეულ იქნეს სახოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე (მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0).

3. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გ. გოგსაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: რ. გაჩეჩილაძე

საკონკურსო კომისიის მდივანი: თ. დოლბაია

საკონკურსო კომისიის წევრი: ვ. ლორთქიფანიძე